

შპს „ბიელი“ (2021 წლამდე შპს ბ.ლ. გრუპი)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბიელი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 2017 წლის 05 ოქტომბერს, როგორც შპს შპს ლომ გრუპ. დირექტორი პაატა იოსავა. დამფუძნებლები:

60001078757, ლაშა იობიძე 34%

60003010444, მამუკა ხეცურიანი 33%

62003001780, ლერი კოპალიანი 33%

2018 წლიდან კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ლაშა იობიძე, რომელიც 2020 წლიდან თებერვლიდან უკვე შპს-ს დირექტორიცაა. შპს-მ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი, ჯერ იყო ლომ გრუპ, შემდეგ ბ.ლ. გრუპი. 2020 წლიდან უკვე შპს ბიელი. საიდენტიფიკაციო კოდი: 412731138.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ N 36/1

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანია არ გააჩნია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებია სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გზების და ავტობანების მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რომელსაც შპს ბიელი ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების გზით.

სახელმწიფო შესყიდვების გარდა შპს ბიელი იღებს შემოსავლებს კერძო შეკვეთებიდან, იშვიათად კომპანიას გარკვეული შემოსავლები აქვს ძირითადი საშუალებების იჯარიდან და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციიდან.

კომპანიის მეწილეები: 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის მეწილეები არ შეცვლილა:

შპს-ს 100 % წილს ფლობს ლაშა იობიძე პ.ნ. 60001078757

კომპანიის დირექტორია ლაშა იობიძე პ.ნ. 60001078757

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ციფრული ფორმების შევსების ერთეულია ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

მნიშვნელოვანი სადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისაგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე განთავსებული ფულის ნაშთისაგან.

• ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში. (კომპანიას აქვს სესხი უცხოურ ვალუტაში) უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

შემოსავლების აღიარება

ჩვენს მიერ შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ტენდერებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება ფორმა 2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, დამკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს აღიარების თარიღით და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მყიდველზე საქონლის მიწოდებისთანავე, ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემისთანავე.

მომსახურების გაწევიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების (იჯარის) ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, მისი აღიარება ხდება ხარჯად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ მიაწოდა საქონელი ან გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები წარმოდგენილია იმ თანხებით, რომელიც მიიღო კომპანიამ მომსახურების გაწევამდე ან საქონლის მიწოდებამდე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი არის ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დაწყება ხდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ჯგუფი წლიური ამორტიზაციის ნორმა მანქანა-დანადგარები 2-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა 2-8 წელი

ავეჯი და ინვენტარი 2-10 წელი სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში (თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას).

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. კომპანია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვას ახდენს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლიდან საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესაბამისად, ჩვენი კომპანია, მოგების 15%-იან გადასახადს იხდის დივიდენდის გაცემისა და მიკრო მეწარმეზე (მომსახურების გაწევისას) თანხის გაცემის შემთხვევაში, ასევე ხარჯებზე, რომლის მიზანი არ არის კომპანიის შემოსავლის მიღება და ხარჯზე, რომელზეც არ გვაქვს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დამატებული ღირებულების გადასახადი

იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი, ხარჯები და აქტივები მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, მათი აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოვლენით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავსდებიან უფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი აღიარება ხდება სრული ღირებულებით. შპს ბიელს არც ჩათვლის უფლებით არც ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციები არ გააჩნია.

საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%.

საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით, საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლებისთვის მოგების მიცემა.

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	366727	102957	34773
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1290799	347835	197022
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	973779	1022428	219636
მარაგები	1081396	145448	95305
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1081396	145448	95305
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	493349	802421	440563
ძირითადი საშუალებები	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	320000	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4526050	2421089	987299
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1630172	246283	214244

ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	15598	781	800
საგადასახადო ვალდებულებები	6778	0	36576
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	5000	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1662084	1827636	175766
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1145613	682804	139546
სულ ვალდებულებები	4465245	2757504	566932
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	4493
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	60805	-336415	415874
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	60805	-336415	420367
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4526050	2421089	987299
სულ მოკლევადიანი აქტივები	3712701	10618668	546736
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2803157	929868	391166

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	11775509	3127458
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	11775509	2499289
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	628169
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	11775509	3127458
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	15160
დასაქმებულთა ანაზღაურება	-418153	-196626
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	-48294
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-67806	-85217
იჯარის ხარჯი	-11000	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-10793145	-3367497
სულ საოპერაციო ხარჯები	-11290104	-3682474
საოპერაციო მოგება	485405	-555016
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-189270	0

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	296135	-555016
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-17928
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	296135	-572944
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დაჯ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	296135	-572944
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-336415	420367
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-173375
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-4493
კაპიტალის სხვა ცვლილებები	101085	-5970
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	60805	-336415

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ბიელის 2022 წლის ფინანსურ მდგომარეობას, მისი ოპერაციების შედეგებს, დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

შპს „ბიელი“-ს დირექტორი

ლაშა იოზიძე

